ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4541103

ნომერი: AR1676420

თარიღი : 01.05.2019

გაცემის თარიღი : 11.06.2019

გაცნობის თარიღი : 11.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზაქარია მხარგრძელის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ორგანიზაცია:

- შპს,,მალუჯი" კოდი: 202451630

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 01 მაისის №AR1676420 განცხადებით მომართა გიორგი მეგრელიშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა IV, N 5ა, ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, ქუჩა IV, N5, ქალაქი თბილისში, აეროდრომის დასახლება III ქ. II გასასვლელი N4, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.36.004.091) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 04 ივნისიდან 2020 წლის 04 ივნისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ, შიდა ავტოსადგომის ფართობად 1675.3 კვ.მ-ის ნაცვლად 1275.6 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 48.7 კვ.მ.-ის ნაცვლად 78.4 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 10517.6 კვ.მ-ის ნაცვლად 10147.6 კვ.მ-ის და ასევე გარე ავტოსადგომების ფართობად 308.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დროს შეთანხმდა მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მიხედვით დამუშავებული გეგმები, რომლებზეც არ არის მითითებული ფართების დასახელებები, აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი გეგმები დაემატოს საპროექტო დოკუმენტაციას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობები მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებაში. კერძოდ: შიდა ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1275.6 კვ.მ. დამხმარე ფართობად 78.4 კვ.მ. საერთო ფართობად 10147.6 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებას დაემატოს გარე ავტოსადგომების ფართობი: 308.6 კვ.მ.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს დაემატოს 2019 წლის 01 მაისის №AR1676420 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმები.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 ივნისის №3994605 ბრძანებასთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.